მარჯერი ბრეი
(შოტლანდია)

შინაგანი მწუხარება - დატყვევებული ბგერები. კინესეთეტიკური მოძრაობა შოტლანდიური მოთქმისა და მთიანეთის (HIGHLANDS) საგუდასტვირე პიბროხის[1] ტრადიციებში

დატირება, ბიბლია და გონებაზე მოსვლა

იერემიას წიგნში (ძვ.წ. 650–570) ვკითხულობთ: „გონება მოიკრიბეთ და მოუხმეთ მოტირალ ქალებს. მოიწვიეთ ბრძენი და გამოცდილი ქალები, რათა აღამაღლონ გოდება ჩვენზე, რომ თვალებიდან ცრემლი გადმოგვდინდეს და ქუთუთოებიდან წყალი გადმოგვეღვაროს.“ (თავი 9, მუხლები 17–20).

იუდეველების დიდი ტანჯვის ჟამს, მოთქმა მიიჩნეოდა გონზე მოსვლისა და წონასწორობის აღდგენის, ადამიანური ტკივილისაგან გათავისუფების საშუალებად. გოდება და ხმამაღალი ტირილი სამგლოვიარო რიტუალებში მრავალი ტრადიციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ პრაქტიკად იქცა.

შოტლანდიის მთიანეთის (Highlands) კლანი და მისი მოტირალი ქალები

შუა საუკუნეების შოტლანდიაში, მთიანეთის კლანის ბელადებმა შეინარჩუნეს მოტირალი ქალების („mnathan tiurim”) სამსახური, როგორც კლანური რუტინის ნაწილი. კლანის ბელადის კარზე სხვა მნიშვნელოვან როლებს ასრულებდნენ: ბარდები (ზეპირსიტყვიერი მოამბეები), სენაკიფები (სიბრძნის მცველები და ტრადიციის მატარებლები) და, მოგვიანებით, მესტვირეები.

მოტირალი ქალები თავიანთ მოვალეობას დაკრძალვებზე ასრულებდნენ. ისინი ქმნიდნენ განზრახულ „ეგრეგორს“ (ჯგუფური ბიოველი. რედ.) – კოლექტიური გლოვის ენერგეტიკულ სივრცეს, რომელიც უზრუნველყოფდა გამოუტირებელი მწუხარების (დაუღვრელი ცრემლის) შემსუბუქებას და სულის გადასვლას „მარადიული სიჭაბუკის ქვეყანაში“ („Tir nan Og“). ეს ხდებოდა ორგანიზებული ქვითინისა და მასთან დაკავშირებული კინესთეტიკური მოძრაობების კომბინაციით. ამგვარად, სათემო სამგლოვიარო რიტუალის წყალობით, უმწვავესი გლოვა ჰპოვებდა ფიზიკურ გამოსავალს, რაც შესაძლებელს ხდიდა მის გაზიარებასა და ფსიქოლოგიურ განტვირთვას.

---

[1] პიბროხი - შოტლანდიური საგუდასტვირე მუსიკალური ფორმა, რომელიც წარმოადგენს რთულ ვარიაციებს სხვადასხვა (უმთავრესად, საბრძოლო ან სამგლოვიარო) თემებზე (რედ.)

1642 - პროტესტანტულმა ეკლესიამ
აკრძალა დატირების პრაქტიკა

1642 წელს, აგრილის სინოდზე, შოტლანდიის პროტესტანტულმა ეკლესიამ აკრძალა დატირების პრაქტიკა („coronach") და მოტირალ ქალებს ჩამოერთვათ მწუხარებაზე მზრუნველთა როლი.

„დადგინდა, რომ ყველა მღვდელმა, ქადაგებისას და კატეხიზმოს სწავლებისას, უნდა შეაგნებინოს მათ, თუ რამდენად შეუფერებელია ამგვარი ქცევა და ზრუნვა ქრისტიანებისთვის, შეურაცხმყოფელი - ღმერთისთვის და აღმაშფოთებელი - ხალხისთვის,".

როგორც ჩანს, ეს იყო სამღვდელოებაში გაბატონებული რწმენის შედეგი, რომლის მიხედვით, თავშეუკავებელი გოდების მომენტებში, დემონს შეეძლო სხეულში შეღწევა.

იგივე მოხდა ირლანდიის კათოლიკურ ეკლესიაში.

ამ აკრძალვის მიუხედავად, ცალკეულ რეგიონებში ეს პრაქტიკა მე-20 საუკუნეშიც შეინარჩუნეს.

კლანური მესტვირეობის
სკოლები და „პიბროხული" გლოვა

ისტორიის ეს პერიოდი (1500-იანი წლების ბოლოდან ადრეულ 1700-იანებამდე) გამორჩეულია კლანური მესტვირეობის სკოლების აყვავებით. კლანების ბელადების პატრონაჟით, აქ მოსწავლეებს მღერით მეტყველებას ანუ „canntaireachd" (გალობას) ასწავლიდნენ. სავარაუდოდ სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა შედევრები მთიანეთის გუდასტვირისთვის.

მუსიკალური ფორმა, რომელიც ცნობილია, როგორც „პიბროხი", სამი კატეგორიისაა: მისალმების მელოდიები (კლანური არისტოკრატიის პატივსაცემად), შეკრების მელოდიები (კლანის წევრების საბრძოლველად შესაკრებად) და სამგლოვიარო მელოდიები (გარდაცვლილი, მნიშვნელოვანი პიროვნებების პატივსაცემად). „პიბროხი" ცნობილია როგორც „Ceol Mor" ანუ „დიდებული მუსიკა", განსხვავებით „Ceol Beag"-ის ანუ „უბრალო მუსიკისგან", როგორიცაა რილსი, ჯიგსი და სტრატსპეისი - ხალხში პოპულარული მუსიკა.

„პიბროხის" კომპოზიციებში ჩაქსოვილი იყო იმ ბუნებრივი პეიზაჟების შესაფერისი მუსიკალური თუ ვერბალური ექსპრესია, რომლებმაც მათი შექმნა განაპირობეს - დაკბილული ანტიკური კლდეებიდან ზღვის მიქცევა-მოქცევამდე. ამავე პერიოდში არაერთი ოჯახი ამოწყდა ყვავილის ეპიდემიის შედეგად. გლოვის ხმებმა — დროთა განმავლობაში, ფაქტობრივად, უცვლელად რომ გადმოსცემდნენ ადამიანურ გამოცდილებას — განმსჭვალეს ყოველდღიური ცხოვრება. „პიბროხის" სამგლოვიარო სიმღერებს საფუძვლად ადამიანის ხმაში ჩაბუდებული მწუხარების გამომხატველი, გოდების დაღმავალი კადენციები და სლუკუნის სტაკატოსებრი ინტონაციები უდევს.

1974 - ავტორის პირადი შეხვედრა „დაკარგულ პრაქტიკასთან“

ავტორი, იმ პერიოდში ახალგაზრდა სტუდენტი, რომელიც სოციალური მუშაკის საქმიანობას ეუფლებოდა, სავსებით მოულოდნელად, გადაკარგულ, გარე ჰებრიდების (Outer Hebrides) კუნძულ ლუისზე, გადააწყდა დატირების რიტუალს. როგორც ტრადიციულ მომღერალთა ოჯახში დაბადებულმა, მან ამ სცენაში ამოიცნო ახლობელი ინტონაციური სტრუქტურები, რომლებმაც საგუდასტვირე დატირებებიც მოაგონა.

ავტორი უნდა სწვეოდა მენტალური პრობლემების მქონე მოხუცებულ ქალბატონს, რომელსაც სოფელში უსიამოვნო ადამიანად მიიჩნევდნენ. ის იყო კომპულსური შემგროვებელი, რომლის ანომალური ქცევა ვერცხლის ფოლგისა და რძის ბოთლების თავსახურების მოპარვას და სახლში მათ დაგროვებას მოიცავდა. ეს ქალბატონი დაახლოებით 1890-იანებში უნდა ყოფილიყო დაბადებული.

ურთიერთობა რთული აღმოჩნდა, რადგან ის მშობლიურ, გელურ ენაზე საუბრობდა, არ იცოდა ინგლისური და მარტო ცხოვრობდა.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ამ ქალბატონს „იოლაირის კატასტროფის“ გადატანა მოუხდა, რომელიც 1918 წელს დაატყდა კუნძულებს (1918 წლის 31 დეკემბერს, როცა მთელი კუნძული სადღესასწაულოდ იყო განწყობილი და ელოდებოდა პირველ მსოფლიო ომში გადარჩენილი ახალგაზრდების დაბრუნებას, ორი დანერთი გემი, რომლითაც ახალგაზრდები ბრუნდებოდნენ, კუნძულის მოსახლეობის თვალწინ, ძლიერმა ქარმა გადააყირავა, რასაც ორასზე მეტი ადამიანი შეეწირა. ქალები იძულებული გახდნენ, მეორე დილით შემოევლოთ სანაპირო და გამორიყული გვამები ამოეთრიათ წყლიდან).

მოძრაობები და ბგერები, რომლებსაც დავაკვირდი

ქვემოთ აღწერილ სპონტანურ რიტუალს ადგილი ჰქონდა რვაჯერ და ყოველ ჯერზე რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

დაბალ სკამზე მჯდარმა მურდინამ მოულოდნელად გოდება დაიწყო.

გოდება რიტმული იყო „AAA EEE! AAA EEEE WAEEEE! MARRA AAA! MARRA HAAAA! OCH OCH!“. განმეორებად ბგერას სლუკუნი ენაცვლებოდა. ქალი მკლავებს თავს ზემოთ სწევდა და შემდეგ დაბლა უშვებდა, თან მოთქმის რიტმს ჰყვებოდა; დროდადრო მუხლებზე დგებოდა და ხელებს მიწას ურტყამდა, თან ჰგოდებდა. ზოგჯერ მუშტებს მკერდში იცემდა.

ავტორი, გრძნობების პირველი ამოფრქვევის შემდეგ, შოკირებული და დამუნჯებული, ინტუიტურად მის პირდაპირ დაეშვა მუხლებზე და მისი ბგერებისა და ფიზიკური მოძრაობების გამეორება დაიწყო. შეიქმნა

ინტერაქცია და მათ ერთმანეთს ბგერები და მოძრაობები გაუზიარეს.

როგორც აღმოჩნდა, სპონტანურ სარკისებურ მოქმედებას თერაპიული შედეგი ჰქონდა, რადგან გოდების დასრულებისას, ყოველ ჯერზე, ქალბატონი უახლოვდებოდა მას, რათა ნუგეშის მისაღებად მოხვეოდა.

ვედრება დატირების კულტურული დაბრუნებისაკენ

ამჟამად ჩვენ, როგორც გლობალური მოქალაქეები, ვცხოვრობთ დროში, როცა ჩვენს კეთილდღეობას ეგზისტენციალური საფრთხე ემუქრება. ყოველდღიურად ვუყურებთ ჩვენი ბუნებრივი სახლის - დედამიწის დაკარგვის შემზარავ წარმოდგენას.

ჩვენი წინაპრები სიკვდილისა და დატირების რიტუალს ფიზიკური განთავისუფლების საშუალებად და საზოგადოების ჯანსაღი ევოლუციის ნაწილად მიიჩნევდნენ.

„გონება მოიკრიბეთ... მოუხმეთ მოტირლებს...“ - ღმერთის სიტყვების ნაწილია.

რაც კითხვას ბადებს...

თუ ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში უფრო შესაფერისი დრო იმისათვის, რომ დავაბრუნოთ და გავაცოცხლოთ ჩვენი წინაპარი მოტირალი ქალების უძველესი ბრძნული პრაქტიკა?